KA030173979375218

№ 01-15296 **06 / ივლისი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის
მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ბატონი მიხეილ დუნდუა მიმდინარე წლის 23-27 ივლისს მიწვეულია კანადაში (ქ. ტორონტო, ქ. ლავალი), ლავალის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის წევრებთან, ასევე, კანადის პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წარმომადგენლებთან შეხვედრის მიზნით.

ვიზიტი ეძღვნება მხარეთა შორის პარტნიორული კავშირების განვითარებას და მომავალი თანამშრომლობის წინადადებების განხილვას, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ბატონი მიხეილ დუნდუასთვის მივლინების ბრძანების გაფორმებას მიმდინარე წლის 22 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით, ხოლო მგზავრობას, სასტუმროს, დღიურ ნორმასა და დღიურ ნორმაზე დანამატს აანაზღაურებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

მარიანა მკურნალი